

სასაჩუქრე ბარათის პირობები

1. ზოგადი ნაწილი

- 1.1. წინამდებარე პირობები განსაზღვრავს სს „საქართველოს ბანკი“-ს (შემდგომში - ბანკი) მიერ ემიტირებული არაპერსონიფიცირებული, წინასწარი გადახდის სასაჩუქრე ბარათის (შემდგომში - სასაჩუქრე ბარათი) პირობებს (შემდგომში - პირობები).

2. ტერმინთა განმარტება

- 2.1. **ბანკი** - სს საქართველოს ბანკი (ს/ნ 204378869);
- 2.2. **კლიენტი** - ფიზიკური პირი, რომელსაც გადაეცემა სასაჩუქრე ბარათი პირადი სარგებლობისათვის ან სხვა ფიზიკურ პირისათვის სარგებლობაში გადასაცემად ან იურიდიული პირი, რომელსაც გადაეცემა სასაჩუქრე ბარათი სხვა ფიზიკური პირისათვის სარგებლობაში გადასაცემად;
- 2.3. **სავაჭრო ცენტრი** - შპს „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“; (ს/ნ 204557014).

3. სასაჩუქრე ბარათის სარგებლობის ძირითადი პირობები

- 3.1. **კლიენტს** სასაჩუქრე ბარათი გადაეცემა უსასყიდლოდ. სასაჩუქრე ბარათი წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას.
- 3.2. სასაჩუქრე ბარათი მოქმედებს მასზე შესაბამისი ოდენობის თანხის ჩარიცხვიდან 6 თვის განმავლობაში. სასაჩუქრე ბარათი უქმდება: ა) 6 თვიანი ვადის გასვლის შემთხვევაში, ან ბ) 6 თვიანი ვადის გასვლამდე მასზე არსებული თანხის ამოწურვის შემთხვევაში.
- 3.3. სასაჩუქრე ბარათზე შესაძლებელია მხოლოდ ერთჯერადად არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) და არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ჩარიცხვა, **სავაჭრო ცენტრში** განთავსებული პოს ტერმინალის ან Express Pay-ს თვითმომსახურების ტერმინალის საშუალებით.
- 3.4. სასაჩუქრე ბარათზე ჩარიცხული თანხის გამოყენება **კლიენტს** შეუძლია როგორც სრულად, ისე ნაწილ-ნაწილ, თანხის სრულად ამოწურვამდე, სასაჩუქრე ბარათის მოქმედების ვადის გასვლამდე, **ბანკის** პოს ტერმინალის საშუალებით **სავაჭრო ცენტრში** საქონლის ან/და მომსახურების შესაძენად სასაჩუქრე ბარათზე არსებული ნაშთის ფარგლებში.
- 3.5. სასაჩუქრე ბარათის ბალანსის შემოწმება შესაძლებელია **სავაჭრო ცენტრში** განთავსებული პოს ტერმინალის საშუალებით.
- 3.6. სასაჩუქრე ბარათზე დაშვებულია შემდეგი ოპერაციები:
 - 3.6.1. თანხის ჩარიცხვა;
 - 3.6.2. სავაჭრო ობიექტებში საქონლის ან/და მომსახურების შეძენა;
 - 3.6.3. ნაშთის შემოწმება.
- 3.7. სასაჩუქრე ბარათზე დაუშვებელია შემდეგი ოპერაციები:
 - 3.7.1. ნაღდი ფულის გაცემა;
 - 3.7.2. ინტერნეტით გადახდების განხორციელება;
 - 3.7.3. თანხის ჩარიცხვა (თავდაპირველი ჩარიცხვის შემდეგ);
 - 3.7.4. თანხის გადარიცხვა, თუ ეს არ არის დაკავშირებული საქონლის ან/და მომსახურების სასაჩუქრე ბარათით შეძენის ოპერაციასთან სავაჭრო ობიექტში;
 - 3.7.5. დაბრუნებული სასაჩუქრე ბარათის ხელახალი გამოყენება;
 - 3.7.6. სასაჩუქრე ბარათის გამოყენება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
 - 3.7.7. სხვა ოპერაციების განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობას.
- 3.8. სასაჩუქრე ბარათის დაკარგვის შემთხვევაში შესაძლებელია სასაჩუქრე ბარათის დაბლოკვა **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე, ტელეფონ ბანკის მეშვეობით ან/და სერვის ცენტრისათვის მიმართვით. ბარათის განბლოკვა შესაძლებელია ამავე წესით.
- 3.9. **კლიენტი** უფლებამოსილია სასაჩუქრე ბარათზე ჩარიცხული თანხა გამოიყენოს სასაჩუქრე ბარათის ვადის გასვლამდე. სასაჩუქრე ბარათის ვადის გასვლის შემთხვევაში სასაჩუქრე ბარათზე განთავსებული თანხები **კლიენტის** არ დაუბრუნდება.
- 3.10. შესაძლებელია **კლიენტმა** სასაჩუქრე ბარათი გადასცეს სხვა პირს. ასეთ შემთხვევაში სასაჩუქრე ბარათის ახალ მფლობელი სრულად უნდა გაეცნოს სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის პირობებს.
- 3.11. სასაჩუქრე ბარათის პირობები განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** დამატებითი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე შეიტანოს ცვლილება პირობებში, რის შესახებაც **კლიენტს** ეცნობება ამავე ვებ-გვერდის საშუალებით.
- 3.12. სავაჭრო ობიექტების ჩამონათვალში ცვლილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება **სავაჭრო ცენტრის** ვებ-გვერდის www.tbilisimall.com საშუალებით.

3.13. სასაჩუქრე ბარათის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ბარათი არ ექვემდებარება აღდგენას, ასევე უკან არ ბრუნდება ბარათზე არსებული ნაშთი.

4. პასუხისმგებლობა

- 4.1. **კლიენტი** სრულად არის პასუხისმგებელი სასაჩუქრე ბარათით განხორციელებულ ყველა ოპერაციაზე.
- 4.2. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი:
 - 4.2.1. სასაჩუქრე ბარათის დაკარგვის ან/და არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი გამოყენების შედეგებზე;
 - 4.2.2. **კლიენტსა** და სავაჭრო ობიექტს შორის ნებისმიერი მიზეზით წარმოშობილ დავაზე;
 - 4.2.3. დაგვიანებულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საგადამხდელო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო.

5. ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

- 5.1. პირობები ძალაში შედის **კლიენტის** მიერ სასაჩუქრე ბარათის მიღების შემდეგ და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
- 5.2. სასაჩუქრე ბარათთან დაკავშირებული სხვა პირობები მოცემულია საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობებში, რომელიც გათავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.